ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

„სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში **2022** წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N **69.69213501** განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 10

2022 წლის 10 ივნისი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინა ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კოსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 28 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

დავით დევდარიანი - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

პეტრე შარიქაძე - მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი .

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნ. თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები: არ ესწრებოდნენ

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

„სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N 69.69213501 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 28 წევრი

მომხრე -28

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პ. შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - **„სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო**

წინადადების მოწონების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N 69.69213501 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
(თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

კ. გოგსაძემ, ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ს წევრმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მოწონებული პროექტების მიხედვით განისაზღვროს პრიორიტეტები, რომ არ გამოვიდეთ მარტო ბეჭდის დამსმელები, არავის შეურაცყოფას არ ვაყენებ, მაგრამ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტების მარტო მოწონებით ნუ შემოვიფარგლებით, რადგან ჩვენ დეპუტატებს გვაქვს გარკვეული პასუხუსმგებლობა იმ ამომრჩევლის წინაშე, რომელმაც ხმა მოგვცა და ჩვენგან ელოდება საქმის კეთებას, ამ 4 წლის განმავლობაში განვსაზღვროთ რა იქნება პრიორიტეტული და მივყვეთ შესრულებას ხალხთანაც ვიქნებით პირნათელი.

ო. გაგოშიძემ დასვა შეკითხვა ამ პროექტებიდან რომელ პროექტს მიენიჭება უპირატესობა.

დ. დევდარიანმა მერის მოადგილემ განმარტა, რომ პირველი 14 პროექტი გვაქვს, დანარჩენის პროექტები უნდა შევისყიდოთ, გამოყოფილი თანხის შესაბამისად მოხდება შეირჩევა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი მერიის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე - 28

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**